საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვერენჩხილაძე რომან ილიას ძე

კვერენჩხილაძე რომან ილიას ძე (20. VII. 1933, სოფ. ჩოჩხათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 10. I. 1993, თბილისი), გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1981).

1956 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტი ეკონ. გეოგრაფიის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტში. იყო რეგიონალური გეოგრაფიის ლაბორ. ხელმძღვანელი (1979–81), დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1981–91), დირექტორი (1991-იდან).

კ-ის მეცნ. ინტერესების სფეროს წარმოადგენდა საქართველოს ეკონ. და სოც. გეოგრაფია, რეგიონალური გეოგრაფია, ეკონ. დარაიონება, გეოგრ. ისტორია და სხვ. იკვლევდა რაიონთაშორისი კავშირების თეორიულ და რეგიონალურ პრობლემებს. კ. ითვლება ტრანსპ. გეოგრაფიის ფუძემდებლად საქართველოში. მუშაობდა სატრანსპორტო-ეკონ. კავშირების რაციონალიზაციის საკითხებზე. კ. აქტიურად მონაწილეობდა ინ-ტის ეკონ. გეოგრაფიის განყ-ბის ექსპედიციებში და იყო საქართვ. რეგიონების გეოგრ. პრობლემებისადმი მიძღვნილი 20-მდე მონოგრაფიის თანაავტორი. წლების განმავლობაში იყო საქართვ. განათლების სამინისტროს გეოგრაფიის სამეცნ.-მეთოდური საბჭოს თავ-რე, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოების თანაავტორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, რ-თა ნაწილი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ (აშშ, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და სხვ.).

კ-ს მიღებული აქვს ა. ჯავახიშვილის სახ. პრემია (1989), ვახუშტი ბაგრატიონის სახ. პრემია (1993; თანაავტორებთან ერთად) მონოგრაფიისათვის „თბილისი. ეკონომიკურ-

გეოგრაფიული გამოკვლევა". „საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასის" შედგენაში მონაწილეობისა და რედაქტორობისათვის მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწ. პრემია (1994; გარდაცვალების შემდეგ).

თხზ.: საქართველოს ტრანსპორტი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1986; გ. გეხტმანის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1992; Географические проблемы транспорта Грузии, Тб., 1976.

ლიტ.: ხ ა რ ა ძ ე კ., გეოგრაფიული მეცნიერების მოამაგე რომან კვერენჩხილაძე, თბ., 2018.

ვ. ნეიძე